**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იეზეკიელი

იეზეკიელი, XII ს. ქართველი სასულიერო პოეტი. ფიქრობენ, რომ იყო ბერი. ანტონ I „წყობილსიტყვაობაში" (XVIII ს.) უწოდებს მას „საკვრველ პიიტიკოსს, ღმრთის-მეტყველ-რიტორს, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს" და იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის თანასწორად მიიჩნევს. ი-ს თვლიან იოანე პეტრიწის ლიტ. სკოლის წარმომადგენლად. ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა იამბიკომ, აქედან ორი აკროსტიქულია.

*თხზ.*: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, შედგ. ი. ლოლაშვილის მიერ, თბ., 1978.

*ლიტ.*: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ი., იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი, წგ.: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბ., 1968.

***ი. ლოლაშვილი***